შპს „მშენ-ექსპერტი +“
A – ტიპის ინსპექტირების ორგანო
მის: ქ. თბილისი, გულარეხის შესახვევი №23
ტელ.: (+995) 595-95-25-22
ს/კ 406304896

აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0350
ინსპექტირების ანგარიშის №: FT-918/10/24-I918
გაცემის თარიღი: “29” 10 2024 წელი
ინსპექტირების თარიღი: 23.10÷ 29.10.2024 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:

ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროცესის მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის ინსპექტირება

ვამტკიცებ,
დირექტორი _____ ჭიპაშვილი

ინსპექტირების ანგარიში
(ექსპერტიზის დასკვნა)

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „კომპას დევლოპმენტი“ ს/კ 405326676 დირექტორი: ირაკლი გაბადაძე
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი № 918/10/24-I918 (23.10.2024 წ) ხელშეკრულება №C-918/10/24-I918 (23.10.2024 წ)
ინსპექტირების სფერო:	ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროცესის მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის ინსპექტირება.

თბილისი
2024 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 3
4. კვლევითი ნაწილი 5
5. დასკვნა 15
6. დანართი №1 16
7. დანართი №2 21

1. ინსპექტირების შემსრულებლები

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლობლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დაცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ინსპექტორი: **ზურაბ გუბელიძე**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაცია

1. ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შედეგები, შემსრულებელი ინჟინერ-გეოლოგ(ებ)ი მ. ბაბილოძე;
2. ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, შემსრულებლები ინჟინერ-კონსტრუქტორ(ებ)ი გ. ლეფსვერიძე;
3. ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მზიდი კონსტრუქციების საანგარიშო კომპიუტერული მოდელი და ანგარიში, შემსრულებელი ინჟინერ-კონსტრუქტორი ა. ლებანიძე.

3. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის №71 დადგენილება – „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები“:
   - ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (დანართი 1);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“ (დანართი 2);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3);
2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. <<კ.ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი>>,

თბილისი 1992წ.;

3. ტექნიკური რეგლამენტი - „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №361, 2014 წ. 27 მაისი;
4. ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა ნაგებობების უსაფრთხოების წესები“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016 წლის 28 იანვარი;
5. ტექნიკური რეგლამენტი - „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, 2019 წლის 31 მაისი;
6. Пособие по обследованию строительных конструкции здании. АО <<ЦНИИПРОМЗДАНИИ>>, Москва 1997 г.;
7. Снип 1.02.07-87 „Инженерные изискания для строительства“, Москва 1987г.;
8. СП 22. 13330.2023 „Основания здании и сооружении“ (Актуализированная редакция СНиП 2.02.01-83*), Москва 2011 г.;
9. ГОСТ 31937-2011 „Здания и сооружения. Правила обследования и мониторинга технического состояния“, Москва 2014г;
10. Пособие по проектированию каменных и армокамменных конструкций (к СниП II-22-81), ЦНИИСК им Кучеренко Госცтроя СССР; Москва, 1987 г.;
11. СНиП 3.02.01-87 Земляные сооружения, основания и фундаменты, Москва,1988 г;
12. СНиП III-4-80* Техника безопасности в строительстве. Москва, 2000 г.;
13. СП 20.13330.2016 „Нагрузки и воздействия“ (Актуализированная редакция СНиП 2.01.07-85*), Москва 2016;
14. СНиП II-22-81 „КАМЕННЫЕ И АРМОКАМЕННЫЕ КОНСТРУКЦИИ“;
15. СП 325.1325800-2017 „ЗДАНИЯ И СООРУЖЕНИЯ. Правила производства работ при демонтаже и утилизаций“;
16. СТО НОСТРОЙ 2.33.53-2011 „Снос (демонтаж) зданий и сооружений“;
17. СНиП 12-03-2001 „безопасность труда в строительстве“ (часть 1. Общие требования);
18. СНиП 12-04-2002 „безопасность труда в строительстве“ (часть 2. Строительное производство);
19. MEP-TP-G04.1 – ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

4. გამოყენებული ხელსაწყოები

1. Nikon D3100 ციფრული ფოტოაპარატი – ვიზუალური დათვალიერების ფოტოფიქსაცია;
2. ლაზერული მანძილმზომი.

5. ინსპექტირების მიზანი

ინსპექტირების მიზანია ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) საპროექტო შენობის მშენებლობის პროცესის ზეგავლენის გამოკვლევა მიმდებარე ნაგებობებზე და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის მომზადება.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გამოკვლევას საფუძვლად დაედო ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) საპროექტო შენობის მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები და საპროექტო შენობის მიმდებარე ნაგებობების ვიზუალური გამოკვლევის შედეგები.

ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №24-ში (ს/კ 01.17.01.047.030) საპროექტო შენობის მშენებლობის ზეგავლენის გამოკვლევა მიმდებარე ნაგებობებზე მოიცავს:

1. ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) საპროექტო შენობის მშენებლობის პროცესის მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის სფეროს დადგენა;
2. ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) საპროექტო შენობის მიმდებარე ნაგებობების ვიზუალური გამოკვლევა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება;
3. ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) საპროექტო შენობის მშენებლობის ზეგავლენის შეფასება მიმდებარე ნაგებობებზე და კომუნიკაციებზე;
4. გამოკვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე საექსპერტო დასკვნის მომზადება.

ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) მდებარე შენობის და მიმდებარე ნაგებობების გამოკვლევა შესრულებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების №1-1/970 11.04.2012, საქართველოში მოქმედი ნორმატიული, სახელმძღვანელო დოკუმენტების მოთხოვნათა და შპს „მშენექსპერტი+“-ის „ინსპექტირების მეთოდების და პროცედურების-„MEP-G0 4.1“-ის სრული დაცვით.

6. კვლევითი ნაწილი

6.1 ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) მშენებლობის პროცესის მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის სფეროს დადგენა

საპროექტო შენობის რეკონსტრუქცია გათვალისწინებულია ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) (სურ. 1). საპროექტო შენობას ჩრდილოეთიდან მახათას ქუჩა ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან მთავარანგელოზის ქუჩა, სამხრეთიდან მთავარანგელოზის ქ. №22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი (ს/კ 01.17.01.047.023), ხოლო დასავლეთიდან მახათას ქ. №5-ში (ს/კ 01.17.01.047.021) არსებული საცხოვრებელი სახლი.

სამშენებლო სამუშაოების გავლენის სფეროში, მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების (მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ) და საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის [8]-ის, 9 თავის, 9.36 პუნქტის მიხედვით სამშენებლო სამუშაოების წარმოების ზეგავლების სფეროში მოხვდა შემდეგი ნაგებობები (სურ. 1):

ნაგებობა №1 – მთავარანგელოზის ქუჩა №24/7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი (ს/კ 01.17.01.047.023);

ნაგებობა №2 – მთავარანგელოზის ქუჩა №15/2-ში (ს/კ 01.17.01.073.017) მდებარე საცხოვრებელი სახლი;

ნაგებობა №3 – მახათას ქუჩა № 3-ში (ს/კ 01.17.01.047.021) მდებარე საცხოვრებელი სახლი;

ნაგებობა №4 – მთავარანგელოზის ქუჩა №28 / მახათას ქუჩა №6-ში (ს/კ 01.17.01.048.003) მდებარე საცხოვრებელი სახლი;

ნაგებობა №5 – მთავარანგელოზის ქუჩა №17 / მახათას ქუჩა №7-ში (ს/კ 01.17.01.054.010) მდებარე საცხოვრებელი სახლი.

მშენებლობის ზეგავლენის სფეროში მოხვდა აგრეთვე მთავარანგელოზის (სურ. 53) და მახათას (სურ. 54) ქუჩების საპროექტო შენობის მომიჯნავე უბნები.

6.2. ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში საპროექტო შენობის მიმდებარე ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება

წინამდებარე პარაგრაფში მოყვანილია ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში საპროექტო შენობის (სურ. 1) მიმდებარე ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევის შედეგები და მათი ანალიზი. შესაძლებლობების ფარგლებში დაფიქსირებულია და აღწერილია აღნიშნული შენობების მზიდი კონსტრუქციების დაზიანებები, შეფასებულია მათი ტექნიკური მდგომარეობა.

ნაგებობა №1.

მთავარანგელოზის ქუჩა №24/7-ში (ს/კ 01.17.01.047.023) მდებარე შენობა დანიშნულების მიხედვით საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს. იგი საპროექტო შენობას სამხრეთ-დასვლეთიდან ესაზღრება (სურ. 2, 3, 4) და მისგან 800მმ-ით არის დაშორებული. შენობა გეგმაში რთული მოხაზულობისაა. იგი განთავსებულია სწორ რელიეფზე. შენობას გააჩნია 1, 2 მიწისზედა სართული და სარდაფი.

ნაგებობა №1-ს გააჩნია მცირე ზომის შიდა ეზო (სურ. 4), რომელსაც შესასვლელი მთავარანგელოზის ქუჩის მხრიდან აქვს.

შენობა სხვადასხვა დროს ერთმანეთზე მიშენებული ნაწილებისაგან შედგება, რომლებსაც შეპირაპირების ზონაში აგურის წყობაში გადაბმული ჯაჭვური კავშირები არ გააჩნია. ერთერთ ასეთი ტიპის მიშენებას გააჩნია ხის მასალით მოწყობილი კედლები (სურ. 7).

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობის ზემოთ აღნიშნული ნაწილები სხვადასხვა ტიპის კონსტრუციებს წარმოადგენს. შენობის ერთი ნაწილი აგურის I ტიპის წყობით შესრულებულ მზიდკედლიან ნაგებობას წარმოადგენს (სურ. 5). მეორე წარმოდგენილია ხის კარკასით, რომლის კედლები აგურის წყობითაა შევსებული (სურ. 6). მესამე ნაწილი კი ხის მზიდი კონსტრუქციებითაა მოწყობილი (სურ. 7). შიდა ეზოს მხრიდან მიშენება ლითონის კარკასითაა მოწყობილი. ედლების შევსება აგურის I ტიპის წყობითაა შესრულებული.

შენობების სართულშუა გადახურვა შესრულებულია ხის მზიდ კოჭებზე დაფენილი ფიცარნაგებით. ზოგიერთ უბანზე ხის გადახურვები მიცვლილია მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებით.

სახურავის მზიდი კონსტრუქციები (ნივნივები, დგარები, გრძივები, შეფიცვრა) ხის მასალით არის შესრულებული (სურ. 3, 6, 7). საბურველი მოწყობილია მოთუთიებული თუნუქის ფურცლებით (სურ. 8).

შენობა დაფუძნებულია ლენტური საძირკვლებით თიხნარ გრუნტზე (ფენა 2). საძირკვლები მოწყობილია ფლეთილი ყორექვის წყობით. დუღაბად გამოყენებულია ქვიშა - კირის ხსნარი. რაც **არ აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის [1-დანართი 3]-ის, თავი III, მუხლი 7, პუნქტი 16-ის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც ყორექვის წყობით შესრულებული საძირკვლების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შენობებში ორ სართულამდე 7 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის შემთხვევაში, 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობისას მათი გამოყენება დაუშვებელია.**

შენობის კედლის წყობაში გამოყენებულია სტანდარტული აგური, რომლის გეომეტრიული ზომებია 250×120×65მმ. წყობაში გამოყენებულია თიხა-მინერალებით გაჯერებული დუღაბი, რომელსაც სიმტკიცის ასამაღლებლად დამატებული აქვს კირი.

გამოსაკვლევ შენობის კედლებს არც სართულშუა გადახურვის და არც სახურავის დონეზე არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელი, რაც არ აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 7-ს მოთხოვნებს.

შენობის ფანჯრების და კარებების ღიობების სიგანის მნიშვნელობები ყველგან ნაკლებია 3000მმ-ზე, რაც აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს, 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონისათვის, აგურისა და ქვის მზიდკედლებიან ნაგებობებში.

გამოსაკვლევი შენობის სართულის სიმაღლის შეფარდება კედლის სისქესთან ყველა უბანზე ნაკლებია 10-ზე, რაც აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 10-ის მოთხოვნებს რვაბალიანი სეისმური უბნისათვის.

შენობის შუაკედლისების სიგანის მნიშვნელობები ფასადის კედლებზე ნაკლებია 1160მმ-ზე (სურ. 2) და არ აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონაში აგურის მზიდკედლებიანი ნაგებობებისათვის.

შენობა გეგმაში რთული ფორმისაა და იგი არ არის დაყოფილი მარტივ ნაკვეთურებად ანტისეისმური დეფორმაციული ნაკერებით, შესაბამისად იგი არ აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი 3, მუხლი 6, პუნქტი 1-ის მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე შენობის კონსტრუქციული სქემა და მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტა არ აკმაყოფილებს რვაბალიანი სეისმურობის უბნისათვის

ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3] მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე შენობა სეისმურად არამდგრადია.

ნაგებობა №1 მთავარი ფასადებით მთავარანგელოზის ქუჩაზე გამოდის. აღნიშნული ფასადის კედლები გალესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით და შეღებილია. (სურ. 7, 8). სახურავის წყალსარინი სისტემის გაუმართაობის გამო, ატმოსფერული წყლები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოედინება საპროექტო შენობის ფასადის კედლებზე, რის შედეგადაც ხდება მისი დაზიანება. ბევრ უბანზე კედლები ჩამორეცხილია, გამობერილია და დაბზარულია ბათქაში. ზოგიერთ უბანზე კედლები საერთოდ არაა შელესილი. ბევრ უბანზე მთლიანად ჩამოშლილია ნალესობა, ხდება აგურის წყობაში დულაბის გამორეცხვა, წყობა დაზიანებულია (სურ. 5, 9).

დასავლეთ ფასადზე ხის მზიდ კარკასში ჩაშენებული კედლის აგურის წყობის გაძლიერების მიზნით იგი დაიფარა ნაშხეფი ქვიშა ცემენტის დულაბით (სურ. 6).

შენობის მზიდი კედლების დათვალიერების შედეგად ბზარები და დეფორმაციები დაფიქსირდა მხოლოდ შენობის შიდა სივრცეში არსებულ ტიხრის კედლებზე (სურ. 10).

აქედან გამომდინარე ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქუჩა №24/7-ში (ს/კ 01.17.01.047.023) მდებარე საცხოვრებელი სახლის მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექნიკური რეგლამენტი [1-დანართი 3]-ის მიხედვით ნაგებობა №1 სეისმურად არამდგრადია.

ნაგებობა №1-ის მზიდი კონსტრუქციები, სახელმძღვანელო დოკუმენტის [6], დანართი II, ცხრილი II-2-ის მიხედვით, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთხვნება III კატეგორიას.

ნაგებობა №2.

მთავარანგელოზის ქუჩა № 15/2-ში (ს/კ 01.17.01.073.017) მდებარე შენობა დანიშნულების მიხედვით საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს. იგი საპროექტო შენობას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღრება (სურ. 1, 11, 12) და მისგან 8 მ-ით არის დაშორებული. შენობა გეგმაში რთული ფორმისაა. იგი სამსართულიანია ნახევარსარდაფის ჩათვლით.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით აგურის I ტიპის წყობით შესრულებულ მზიდკედლებიან ნაგებობას წარმოადგენს ყოველგვარი ჩანაშენების და გაძლიერების გარეშე. აგურის კედლები განლაგებულია, როგორც გრძივი ასევე განივი მიმართულებით.

ძირითადი შენობის მზიდი ჩონჩხედი წარმოდგენილია შემდეგი კონსტრუქციებით:

- ვერტიკალური კონსტრუქციები: აგურის წყობის მზიდი და თვითმზიდი კედლები;
- ფანჯრების და კარებების ღიობების ზღუდარები აგურის წყობით შესრულებული სეგმენტური ტიპის კონსტრუქციებია (სურ. 13);
- შენობების სართულშუა გადახურვა შესრულებულია ხის მზიდ კოჭებზე დაფენილი ფიცარნაგებით;
- სახურავის მზიდი კონსტრუქციები (ნივნივები, დგარები, გრძივები, შეფიცვრა) ხის მასალით არის შესრულებული. საბურველი მოწყობილია თუნუქის ფურცლებით.

შენობის კედლის წყობაში გამოყენებულია სტანდარტული 250×120×65მმ ზომის აგური. წყობაში გამოყენებულია თიხა-მინერალებით გაჯერებული დუღაბი, რომელსაც სიმტკიცის ასამაღლებლად დამატებული აქვს კირი.

გამოსაკვლევ შენობის კედლებს, არც სართულშუა გადახურვის და არც სახურავის დონეზე არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელი, რაც არ აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 7-ს მოთხოვნებს.

შენობის ფანჯრების და კარებების ღიობების სიგანის მნიშვნელობები ყველგან (მათ შორის ფასადის კედლებზეც) ნაკლებია 3000მმ-ზე, რაც აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს, 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონისათვის, აგურისა და ქვის მზიდკედლებიან ნაგებობებში.

გამოსაკვლევი შენობის სართულის სიმაღლის შეფარდება კედლის სისქესთან ყველა უბანზე ნაკლებია 10-ზე, რაც აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 10-ის მოთხოვნებს რვაბალიანი სეისმური უბნისათვის.

შენობის შუაკედლისების სიგანის მნიშვნელობები ფასადის კედლებზე ნაკლებია 1160მმ-ზე (სურ. 35) და არ აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონაში აგურის მზიდკედლებიანი ნაგებობებისათვის.

შენობის განივ კედლებს შორის მანძილების სიდიდე ძირითადად არ აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 12, ცხრილი 9-ის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც რვაბალიანი საანგარიშო სეისმური უბნისათვის, განივ აგურის I ტიპის წყობით შესრულებულ კედლებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 9 მ-ს.

აქედან გამომდინარე შენობის კონსტრუქციული სქემა და მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტა არ აკმაყოფილებს რვაბალიანი სეისმურობის უბნისათვის

ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3] მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე შენობა სეისმურად არამდგრადია.

ნაგებობა №2 მთავარი ფასადის კედლები არ არის გალესილი ქვიშა-ცემენტის ხსნარით. სახურავის წყალსარინი სისტემის გაუმართაობის გამო, ატმოსფერული წყლები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოედინება შენობის ფასადის კედლებზე, რის შედეგადაც ხდება მისი დაზიანება. ბევრ უბანზე კედლები ჩამორეცხილია, ხდება აგურის წყობაში დუღაბის გამორეცხვა (სურ. 13, 14, 15, 16).

ნაგებობა №2-ის ვიზუალური დათვალიერების შედეგად მზიდ კონსტრუქციებზე დაფიქსირდა მრავალრიცხოვანი დაზიანებები. გამოვლინდა, რომ შენობის ფასადის კედლებზე, ყველა სართულზე, მზიდი კედლები ძლიერ დაზიანებულია. დაბზარულია შენობის კედლები, ფანჯრის ღუდარები, შუაკედლისები. ბზარები დიდი გახსნილობისაა, გამჭოლი ხასიათისაა და ვრცელდება შენობის საძირკვლებიდან სახურავამდე ფანჯრის ღიობების გავლით. შენობის კედლები დეფორმირებულია (სურ. 13, 14, 15, 17, 20).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შენობის კედლების რღვევის თავიდან აცილების მიზნით, პირველი სართულის სართულშუა გადახურვის და სახურავის დონეებზე შენობის კედლები მოჭიმულია ლითონის ჭიმებით როგორც გრძივი, ასევე განივი მიმართულებებით (სურ. 18, 19, 20). მოჭიმვა განხორციელებულია Ø28AI არმატურის ჭიმებითა და №16 ორტესებრი კოჭების საშუალებით. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის გამაგრება დროებითი ხასიათისაა.

ზემოთ აღნიშნული დაზიანებები, დეფორმაციები, ბზარები გამოწვეულია შენობის საძირკვლების არათანაბარი ჯდომით. რაც ნაგებობა 2-ის საძირკვლების არასაკმარისი მზიდუნარიანობითაა გამოწვეული. შენობის დაზიანებებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შენობის საძირკვლების ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

აქედან გამომდინარე ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქუჩა № 15/2-ში (ს/კ 01.17.01.073.017) არსებული შენობის მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექნიკური რეგლამენტი [1-დანართი 3]-ის მიხედვით ნაგებობა №2 სეისმურად არამდგრადია.

საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [2], დანართი V, პარაგრაფი 5.1.3-ის მიხედვით ნაგებობა №2-ის დაზიანებები III სარისხისაა (მძიმე დაზიანებები).

ნაგებობა №2-ის მზიდი კონსტრუქციები, სახელმძღვანელო დოკუმენტის [6], დანართი II, ცხრილი II-2-ის მიხედვით, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთხვნება III კატეგორიას.

ნაგებობა №3.

მახათას ქუჩა № 3-ში (ს/კ 01.17.01.047.021) მდებარე შენობა საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს. იგი საპროექტო შენობას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება (სურ. 1, 21, 22) და მისგან 800~1200მმ-ით არის დაშორებული.

შენობაზე დროის სხვადასხვა პერიოდში განხორციელებულია სხვენის სართულის დაშენება და შიდა ეზოს მხრიდან მიშენება (სურ. 23, 24). დაშენება განხორციელებულია ლითონის მზიდი კონსტრუქციებით. კედლის შევსება შესრულებულია აგურისა და წვრილი სამშენებლო ბეტონის ბლოკის შერეული წყობით. მიშენება განხორციელებულია წვრილი სამშენებლო ბეტონის ბლოკის წყობით და ლითონის კონსტრუქციების ჩანართებით (სურ. 21, 22, 23).

ძირითადი შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით აგურის I ტიპის წყობით შესრულებულ მზიდკედლებიან ნაგებობას წარმოადგენს ყოველგვარი ჩანართებისა და გაძლიერებების გარეშე.

შენობა დაფუძნებულია თიხნარ გრუნტზე (ფენა 2) ლენტური საძირკვლებით. საძირკვლები მოწყობილია ფლეთილი ყორექვის წყობით. დუღაბად გამოყენებულია ქვიშა - კირის ხსნარი, რაც **არ აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის [1-დანართი 3]-ის, თავი III, მუხლი 7, პუნქტი 16-ის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც ყორექვის წყობით შესრულებული საძირკვლების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შენობებში ორ სართულამდე 7 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის შემთხვევაში.**

შენობის კედლის წყობაში გამოყენებულია სტანდარტული აგური, რომლის გეომეტრიული ზომებია 250×120×65მმ. წყობაში გამოყენებულია ქვიშა ცემენტის დუღაბი.

ძირითადი შენობა სახურავსა და სხვენს შორის გადახურვის დონეზე შეკრულია ლითონის სარტყელით, რომელიც ლითონის №18 შველერითაა მოწყობილი (სურ. 25).

პირველი სართულის და სარდაფის გადახურვის დონეზე გამოსაკვლევი შენობის კედლებს არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელი, რაც არ აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 7-ს მოთხოვნებს.

გამოსაკვლევი შენობის სართულის სიმაღლის შეფარდება კედლის სისქესთან ყველა უბანზე ნაკლებია 10-ზე, რაც აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 10-ის მოთხოვნებს რვაბალიანი სეისმური უბნისათვის.

შენობის შუაკედლისების სიგანის მნიშვნელობები მეტია 1160მმ-ზე (სურ. 21) და აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონაში აგურის მზიდკედლებიანი ნაგებობებისათვის.

აქედან გამომდინარე შენობის მზიდი კონსტრუქციები არ აკმაყოფილებს რვაბალიანი სეისმურობის უბნისათვის ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3] მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე შენობა სეისმურად არამდგრადია.

ნაგებობა №3-ის კედლები გალესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით. შენობის კედლებზე ფიქსირდება გამჭოლი დახრილი ბზარები (სურ. 26, 27). აღნიშნული დაზიანებები, დეფორმაციები, ბზარები გამოწვეულია შენობის საძირკვლების მნიშვნელოვანი არათანაბარი ჯდომით. რაც ნაგებობა 3-ის საძირკვლების არასაკმარისი მზიდუნარიანობითაა გამოწვეული.

შენობაში სართულშუა გადახურვები მოწყობილია ლითონის მზიდ კოჭებზე დაყრდნობილი მონოლითური რკინაბეტონის ფილებით (სურ. 28).

ამჟამად შენობაში მიმდინარეობს სარეკონსტრუქციო სამშენებლო სამუშაოები. მოეწყო დამატებითი სვეტები. მობინადრის გადმოცემით, ზოგიერთ უბანზე გაძლიერდა შენობის საძირკვლები. უნდა აღინიშნოს, რომ შენობის საძირკვლების ნაწილობრივი გაძლიერება კიდევ უფრო გააძლიერებს საძირკვლების არათანაბარ დეფორმაციებს.

აქედან გამომდინარე ნაგებობა №3-ს მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექნიკური რეგლამენტი [1-დანართი 3]-ის მიხედვით ნაგებობა №3 სეისმურად არამდგრადია.

ნაგებობა №3-ის მზიდი კონსტრუქციები, სახელმძღვანელო დოკუმენტის [6], დანართი II, ცხრილი II-2-ის მიხედვით, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთხვნება III კატეგორიას.

ნაგებობა №4.

ნაგებობა №4 მთავარანგელოზის ქუჩა №28 / მახათას ქუჩა №6-ში (ს/კ 01.17.01.048.003) მდებარე საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს. იგი საპროექტო შენობას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება (სურ. 1, 29, 30) და მისგან 11 მ-ით არის დაშორებული. იგი გეგმაში რუსული ასო „Г"-ს ფორმისაა. შენობის სახურავის ნაწილში მოწყობილია სხვენის სართული (სურ. 31).

შენობა განთავსებულია დამრეც რელიეფზე (სურ. 29), აქედან გამომდინარე მახათას ქუჩის მხრიდან შენობა სამსართულიანია, ხოლო უკანა მხარე შედგება ორი მიწისზედა სართულისაგან და ნახევარსარდაფისაგან.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით აგურის I ტიპის წყობით შესრულებულ მზიდკედლებიან ნაგებობას წარმოადგენს ყოველგვარი ჩანართებისა და გაძლიერების გარეშე. აგურის კედლები განლაგებულია, როგორც გრძივი ასევე განივი მიმართულებით.

ძირითადი შენობის მზიდი ჩონჩხედი წარმოდგენილია შემდეგი კონსტრუქციებით:

- ვერტიკალური კონსტრუქციები: აგურის წყობის მზიდი და თვითმზიდი კედლები;
- კარებებისა და ფანჯრების ღიობების ზღუდარები აგურის წყობით შესრულებული სოლის ტიპის კონსტრუქციებია (სურ. 29, 31);
- სახურავი მრავალქანობიანია.

შენობის კედლის წყობაში გამოყენებულია სტანდარტული აგური, რომლის გეომეტრიული ზომებია 250×120×65მმ. წყობაში გამოყენებულია თიხა-მინერალებით გაჯერებული დუღაბი, რომელსაც სიმტკიცის ასამაღლებლად დამატებული აქვს კირი.

გამოსაკვლევი შენობის კედლებს არც სართულშუა გადახურვის და არც სახურავის დონეზე არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელი, რაც არ აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 7-ს მოთხოვნებს.

შენობის კარებების ღიობების სიგანის მნიშვნელობები ყველგან ნაკლებია 3000მმ-ზე, რაც აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს, 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონისათვის, აგურისა და ქვის მზიდკედლებიან ნაგებობებში.

გამოსაკვლევი შენობის სართულის სიმაღლის შეფარდება კედლის სისქესთან ყველა უბანზე ნაკლებია 10-ზე, რაც აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 10-ის მოთხოვნებს რვაბალიანი სეისმური უბნისათვის.

შენობის შუაკედლისების სიგანის მნიშვნელობები ბევრ უბანზე ნაკლებია 1160მმ-ზე და არ აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონაში აგურის მზიდკედლებიანი ნაგებობებისათვის.

აქედან გამომდინარე შენობის მზიდი კონსტრუქციები არ აკმაყოფილებს რვაბალიანი სეისმურობის უბნისათვის ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3] მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე შენობა სეისმურად არამდგრადია.

ნაგებობა №4-ის კედლები გაულესავია. სახურავის წყალარინების სისტემის გაუმართაობის გამო, ატმოსფერული წყლები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოედინება შენობის ფასადის კედლებზე, რის შედეგადაც ხდება მისი დასველება. ბევრ უბანზე კედლები ჩამორეცხილია, ხდება აგურის წყობაში დუღაბის გამორეცხვა

(სურ. 32, 33, 34, 35).

ნაგებობა №4-ის კედლებზე აგურის წყობაში ფიქსირდება მნიშვნელოვანი დაზიანებები, დეფორმაციები და დახრილი ბზარები. ბზარები გამჭოლი ხასიათისაა და ვრცელდება შენობის საძირკვლებიდან სახურავამდე (სურ. 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40). კედლები გადახრილია ვერტიკალური სიბრტყიდან. განსაკუთრებით ძლიერადაა დაზიანებული დასავლეთ ფასადის კედელი (მახათას ქუჩა №4/9-ის მხარეს), სადაც კედელი გამობერილია, დარღვეულია მისი გეომეტრია და გადახრილია ვერტიკალური სიბრტყიდან (სურ. 41, 42).

ზემოთ აღნიშნული დაზიანებები, დეფორმაციები, ბზარები გამოწვეულია შენობის საძირკვლების მნიშვნელოვანი არათანაბარი ჯდომით. რაც ნაგებობა 3-ის საძირკვლების არასაკმარისი მზიდუნარიანობითაა გამოწვეული.

აქედან გამომდინარე ქ. თბილისში, მახათას ქუჩა № 6-ში (ს/კ 01.17.01.048.003) არსებული შენობის მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექნიკური რეგლამენტი [1-დანართი 3]-ის მიხედვით ნაგებობა №3 სეისმურად არამდგრადია.

ნაგებობა №3-ის მზიდი კონსტრუქციები, სახელმძღვანელო დოკუმენტის [6], დანართი II, ცხრილი II-2-ის მიხედვით, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთხვნება III კატეგორიას.

ნაგებობა №5.

ნაგებობა №5 მთავარანგელოზის ქუჩა №17 / მახათას ქუჩა №7-ში (ს/კ 01.17.01.054.010) მდებარე საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს. იგი საპროექტო შენობას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება (სურ. 1, 43) და მისგან 10 მ-ით არის დაშორებული. შენობა ერთსართულიანია. იგი გეგმაში რთული ფორმისაა.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით აგურის I ტიპის წყობით შესრულებულ მზიდკედლებიან ნაგებობას წარმოადგენს, რომელსაც ჩანართებად გააჩნია ხის კოჭების ჩანართები (სურ. 46). აგურის კედლები განლაგებულია, როგორც გრძივი ასევე განივი მიმართულებით.

ძირითადი შენობის მზიდი ჩონჩხედი წარმოდგენილია შემდეგი კონსტრუქციებით:

- ვერტიკალური კონსტრუქციები: აგურის წყობის მზიდი და თვითმზიდი კედლები;
- კარებების ღიობების ზღუდარები ხის კოჭებითაა მოწყობილი (სურ. 43);
- სახურავი მრავალქანობიანია.

შენობის კედლის წყობაში გამოყენებულია სტანდარტული კერამიკული აგურის და ქართული აგურის შერეული I ტიპის წყობა (სურ. 43). წყობაში გამოყენებულია თიხა-მინერალებით გაჯერებული დუღაბი.

გამოსაკვლევი შენობის კედლებს სახურავის დონეზე გააჩნია ხის კოჭებით მოწყობილი ანტისეისმური სარტყელი, რაც აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 7-ს მოთხოვნებს. მაგრამ სარტყელის ხის კოჭები მნიშვნელოვნადაა დამპალი და დაზიანებული (სურ. 44, 48).

შენობის კარებების ღიობების სიგანის მნიშვნელობები ყველგან ნაკლებია 3000მმ-ზე, რაც აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს, 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონისათვის, აგურისა და ქვის მზიდკედლებიან ნაგებობებში.

გამოსაკვლევი შენობის სართულის სიმაღლის შეფარდება კედლის სისქესთან ყველა უბანზე ნაკლებია 10-ზე, რაც აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 10-ის მოთხოვნებს რვაბალიანი სეისმური უბნისათვის.

შენობის შუაკედლისების სიგანის მნიშვნელობები ნაკლებია 1160მმ-ზე და არ აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონაში აგურის მზიდკედლებიანი ნაგებობებისათვის.

აქედან გამომდინარე შენობის მზიდი კონსტრუქციები არ აკმაყოფილებს რვაბალიანი სეისმურობის უბნისათვის ნორმატიული დოკუმენტის [1-დანართი 3] მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე შენობა სეისმურად არამდგრადია.

ნაგებობა №5-ის კედლები გალესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით (სურ. 43,). სახურავის წყალსარინი სისტემის გაუმართაობის გამო, ატმოსფერული წყლები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოედინება ფასადის კედლებზე, რის შედეგადაც ხდება მისი დაზიანება. თითქმის ყველგან კედლები ჩამორეცხილია, ნალესი გამობერილია და დაბზარულია. ბევრ უბანზე მთლიანად ჩამოშლილია ნალესობა, ხდება აგურის წყობაში დუღაბის გამორეცხვა (სურ. 43, 44).

ნაგებობა №3-ის კედლებზე აგურის წყობაში ფიქსირდება მნიშვნელოვანი დაზიანებები, დეფორმაციები და დახრილი ბზარები. ბზარები გამჭოლი ხასიათისაა და ვრცელდება შენობის საძირკვლებიდან სახურავამდე (სურ. 43, 44, 45, 46, 48). ბზარები დიდი გახსნილობისაა (50მმ-მდე). კედლები გადახრილია ვერტიკალური სიბრტყიდან და გადმოზნექილია ქუჩის მხარეს.

ერთერთ უბანზე, მთავარანგელოზის ქუჩის მხარეს, კედლის [illegible] თავიდან

აცილების მიზნით, ფასადის აგურის კედელზე მოწყობილია ხის კონტფორსი (სურ. 49), მიუხედავად ამისა კედლების რღვევა მაინც გრძელდება. დაშლილი და დაძრულია კედლის აგურის წყობა (სურ. 49, 50). მთავარანგელოზის ქუჩის მხარეს, კარებების ღიობის ზღუდარი გაბზარულია და დახეთქილია (სურ. 51, 52). შენობა ავარიულ მდგომარეობაშია.

ზემოთ აღნიშნული დაზიანებები, დეფორმაციები, ბზარები გამოწვეულია შენობის საძირკვლების არათანაბარი ჯდომით. რაც მეტყველებს შენობის საძირკვლების სუსტ მზიდუნარიანობაზე. შენობის დაზიანებებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შენობის საძირკვლების ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

აქედან გამომდინარე ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქუჩა №17 / მახათას ქუჩა №7-ში (ს/კ 01.17.01.054.010) მდებარე შენობის მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექნიკური რეგლამენტი [1-დანართი 3]-ის მიხედვით ნაგებობა №5 სეისმურად არამდგრადია.

ნაგებობა №5-ის მზიდი კონსტრუქციები, სახელმძღვანელო დოკუმენტის [6], დანართი II, ცხრილი II-2-ის მიხედვით, ავარიულ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთხვნება IV კატეგორიას.

6.3. ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) საპროექტო შენობის მშენებლობის მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის გამოკვლევა

პროექტით წარმოდგენილი ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) მუშა პროექტი დამუშავებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული საპროექტო დავალების, საინჟინრო ნაწილის და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების საფუძველზე.

პროექტის მიხედვით ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) მდებარე საცხოვრებელი სახლი გეგმაში რთული ფორმისაა. იგი ხასიათდება ცვალებადი ვერტიკალური გაბარიტებით. შენობას ∇ 0,00 ნიშნულს ქვევით გააჩნია 1 მიწისქვეშა და 4 მიწისზედა სართული.

სამშენებლო ტერიტორიაზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ჩატარდა 2024 წლის აპრილ-მაისში შპს „გენგეოს“ მიერ. გამოკვლევის მიზანი იყო დასაპროექტებელი

შენობის დაფუძნების პირობების დადგენა. სამშენებლო მოედანი განთავსებულია ∇434,00~∇436,00 აბსოლუტურ ნიშნულების საზღვრებში. ქანების ვარდნის აზიმუტი ჩდ 355^0-ია, ვარდნის კუთხე 25^0~30^0-ია.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე, რომლებიც ჩატარებულია ნორმატიული დოკუმენტები და ტექნიკური რეგლამენტების [1-დანართი 2, 7] მოთხოვნათა დაცვით, დადგინდა, რომ სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარედ საშიში გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, შვავი, კარსტი, ჩაქცევა და ა.შ.) არ აღინიშნება. აქედან გამომდინარე საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მიხედვით ტერიტორია მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ტოპოგეგმა 1:500 ზომსადარით, რომელზეც დატანილია შურფ-ბურღილების განლაგება და შესრულებულია მათი გეგმიურ-სიმაღლითი მიბმა.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო ნორმები და წესები მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, სამშენებლო მოედანი განეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

ჰიდროლოგიური პირობების მიხედვით საკვლევი უბანი გამოკვლეულ სიღრმეზე ხასიათდება გრუნტის წყლების არსებობით. გრუნტის წყლები გახსნილია 9.8 – 10.5 მ-ზე, დამყარდა 9.3 – 10.0 მ-ზე. წყალი ამჟღავნებს სულფატურ აგრესიას ბეტონის მიმართ.

საველე სამუშაოების და ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემების ანალიზის საფუძველზე აგებული იქნა გამოსაკვლევი ტერიტორიის გამონამუშევრების სვეტების ლითოლოგიური და გეოლოგიური ჭრილები (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა). უბნის ამგები გრუნტები ორი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტისაგან (**სგე**) შედგება:

I სგე - თიხნარი (ფენა 2);

II სგე - კენჭნარი (ფენა 3);

ნაყარი გრუნტი (ფენა 1) ქვაბულით უნდა მოიხსნას და სგე-დ არ განიხილება.

ტექნიკური რეგლამენტის [1-დანართი 3]-ის, შესაბამისად, საქართველოს სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით, სამშენებლო მოედანი განეკუთვნება 8 ბალიან ზონას. ტერიტორიის ფუძე-გრუნტების სეისმური თვისებების გათვალისწინებით სამშენებლო უბნის სეისმურობა განისაზღვრა 8 ბალით. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.17.

უბნის გეოლოგიური აგებულებიდან და დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, საპროექტო ნაგებობის დაფუძნება

განხორციელებულია მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილის საშუალებით, რომელიც დაფუძნებულია I სგე-ზე (ფენა 2).

ფუძე-გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

II სგე - სიმკვრივე ρ=1.82 კგ/სმ^3, ხვედრითი შეჭიდულობა C=0.17 კგძ/სმ^2, შინაგანი ხახუნის კუთხე φ=20^0, დეფორმაციის მოდული E=140 კგძ/სმ^2, საანგარიშო წინაღობა R_0=2,0 კგძ/სმ^2.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით რაიმე ტიპის საშიში მოვლენის ჩასახვა და განვითარება მოსალოდნელია მხოლოდ ტექნოგენური ფაქტორებით, კერძოდ სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას ფერდის უკონტროლო ჩამოჭრის და კლიმატური ფაქტორების თანხვედრის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში შემუშავებულია ქვაბულის ფერდოს გამაგრება, სპეციალურად შემუშავებული ქვაბულის პროექტის მიხედვით (იხ. ქვაბულის პროექტი, ფურც. 17; 18; 19; 20; 21).

პროექტის მიხედვით ქვაბულის მოწყობა შესრულებულია ნორმატიული დოკუმენტის [11]-ის, 3.11 და 3.15 პუნქტების და აგრეთვე [13]-ის, მე-9 თავის მოთხოვნების სრული დაცვით, ინჟინერ-გეოლოგების რეკომენდაციების მიხედვით (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა), გათვალისწინებულია ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ქვაბულის ფერდის, მიმდებარე შენობების და კომუნიკაციების მდგრადობას და უსაფრთხოებას. კერძოდ „ა'", „ე" და „4" ღერძების მიმდებარედ ქვაბულის კედლების მოწყობა ხდება ერთ რიგად განლაგებული მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების ფარდის საშუალებით (იხ. ქვაბულის პროექტ. ფურც. 17; 18; 19; 20). ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების ფარდის საშუალებით ხდება აგრეთვე ქვაბულის კედლების გამაგრება ნაგებობა №1-ის მომიჯნავე ზონაში. ხიმინჯების დიამეტრი Ø400მმ-ია (იხ. ქვაბულის პროექტი, ფურც. 19, 20). ხიმინჯების ბიჯი 600მმ-ია. ხიმინჯების თავები შეკრულია 400×400მმ განივი კვეთის მონოლითური რკინაბეტონის შემკრავი კოჭებით (იხ. ქვაბულის პროექტი. 20). ფერდის დამჭერ კონსტრუქციაში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი. ქვაბულის დანარჩენი კედლები ეწყობა გრუნტის ბუნებრივი დახრის კუთხით, რაც განაპირობებს მათ მდგრადობას (იხ. ქვაბულის პროექტი. ფურც. კ-0.01; კ-0.02).

ქვაბულის ფერდის კონსტრუქციის მდგრადობის შემოწმება შესრულდა სანგარიშო კომპიუტერული კომპლექსის GEO5 Geotechnical Software-ს საშუალებით. ქვაბულის ფერდის გამაგრების საანგარიშო მოდელი, დაპროექტებისათვის მისაღები სიზუსტით, სრულად აღწერს კონსტრუქციის მუშაობის სურათს. გაანგარიშების ძირითადი შედეგები მოყვანილია დანართში №2. განხილულია ორი ძირითადი ამოცანა (2

ჭრილი). პირველი ამოცანა ასახავს ქვაბულის "ა" ღერძის მიმდებარე კედლის მდგრადობას ნაგებობა №3-ის მომიჯნავე ზონაში (იხ. დანართი №2 ამოცანა №1). მეორე ამოცანა ასახავს ქვაბულის "4" ღერძის მიმდებარე კედლის მდგრადობას მახათას ქუჩის მომიჯნავე ზონაში (იხ. დანართი №2 ამოცანა №2). განგარიშების შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვაბულის ფერდები მდგრადია. რაც გამორიცხავს მათი ჩამოშლის შესაძლებლობას. შესაბამისად ქვაბულის მოწყობა მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე ზეგავლენას არ მოახდენს. ქვაბულის მოწყობა არ მოახდენს აგრეთვე ზეგავლენას მახათას და მთავარანგელოზის ქუჩების მდგრადობაზე და უსაფრთხო ექსპლუატაციაზე, საპროექტო შენობის მომიჯნავე ზონაში.

როგორც აღვნიშნეთ, ქვაბულის კედლები გამაგრებულია მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ ნატენი მკვეთი ხიმინჯების ფარდით. აქედან გამომდინარე საპროექტო შენობის ფუძეში განვითარებული ძაბვები არავითარ ცვლილებას არ გამოიწვევს მიმდებარე ნაგებობების ფუძეში არსებულ დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე. შესაბამისად ზეგავლენას არ მოახდენს მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე.

საპროექტო შენობის დაფუძნება ხდება I სგე - ზე (ფენა 2). დაფუძნება განხორციელებულია მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლების ფილის საშუალებით, სისქით 600მმ (ბეტონის კლასი B25). საძირკვლის ფილის ქვეშ ეწყობა 100მმ სისქის ბეტონის მომზადება (ბეტონის კლასი B10).

საპროექტო შენობის კონსტრუქციების საანგარიშო კომპიუტერული მოდელი შესრულებულია და გაანგარიშებულია გამოთვლითი კომპლექს LIRA SAPR-ის საშუალებით, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

შენობის მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ შენობა მდგრადია, როგორც სტატიკურ დატვირთვების, ასევე სეისმური ზემოქმედების მიმართ. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების [1-დანართი 1, 2, 3] სრული დაცვით. შესაბამისად აღნიშნული ნაგებობა არავითარ საშიშროებას არ შეუქმნის მეზობელი შენობების მდგრადობას და უსაფრთხო ექსპლოატაციას.

როგორც ვნახეთ, ქვაბულის პროექტში, რომელიც შესრულებულია [illegible] რეგლამენტების და ნორმატიული დოკუმენტების [1, 8, 11] მოთხოვნების სრული დაცვით, ინჟინერ-გეოლოგების რეკომენდაციების მიხედვით (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა), გათვალისწინებულია ღონისძიებები, რომელიც

უზრუნველყოფს ქვაბულის ფერდების მდგრადობას. აქედან გამომდინარე საპროექტო შენობა არავითარ საშიშროებას არ შეუქმნის მეზობელი შენობების მდგრადობას და უსაფრთხო ექსპლოატაციას.

მშენებლობა პროექტის მიხედვით ხდება ეტაპობრივად შემდეგი თანმიმდევრობით:

- თავდაპირველად ხდება მშენებლობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გაწმენდა და სამშენებლო ნაგვის გატანა;
- ეწყობა ქვაბულის რკინაბეტონის მონოლითური ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების დამცავი ფარდა;
- შემდეგ ხდება ქვაბულში გრუნტის ექსკავაცია საპროექტო ნიშნულებამდე;
- ვაბულის ფუძე მიღებულ უნდა იქნას ინჟინერ-გეოლოგის მიერ და გაფორმდეს შესაბამისი აქტი სამშენებლო წესების და ნორმების დაცვით;
- ეწყობა 100მმ სიმაღლის ბეტონის მომზადება (ბეტონის კლასი B10);
- ბეტონის მომზადებაზე ხდება მონოლითური რკინაბეტონის H=600მმ სისქის საძირკვლის ფილის განთავსება (ბეტონის კლასი B25);
- ამის შემდეგ ხდება მიწისქვეშა სართულების რკინაბეტონის კონსტრუქციების მონტაჟი, პერიმეტრის კედლებზე ეწყობა წელვადი ჰიდროიზოლაცია;
- შენობის მიწისქვეშა სართულის ამოყვანის შემდეგ ხორციელდება ქვაბულში გრუნტის უკუჩაყრა;
- ამ სამუშაოების შესრულების შემდეგ ხდება დანარჩენი მიწისზედა სამშენებლო სამუშაოთა განხორციელება.

მუშა პროექტის არქიტექტურული, კონსტრუქციული და საინჟინრო ნაწილების, ასევე მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის მიხედვით სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა დაამუშაოს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების პროექტი, საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების და რეგლამენტების [3, 4, 13] დაცვით. პროექტი შეთანხმებული უნდა იქნეს დამკვეთთან და საპროექტო ორგანიზაციასთან.

სამშენებლო სამუშაოთა წარმოების პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნას მშენებლობის პროცესში მიმდებარე ნაგებობების მონიტორინგის ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო ექსპლოატაციას. აღნიშნული ღონისძიებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნაგებობა №1-ის და ნაგებობა №2-ის მომიჯნავე ზონაში ხიმინჯების ფარდის მოწყობის პროცესში. ხიმინჯების მოწყობა ხდება თიხნარ გრუნტში. როტორის ტიპის საბურღი დანადგარების (RAUER) გამოყენების შემთხვევაში აღნიშნული გრუნტის ბურღვისას ვიბრაციები მინიმალურია და მათი ზეგავლენა მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე

უმნიშვნელოა. აქედან გამომდინარე ბურღვის პროცესი მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე ზეგავლენას არ მოახდენს. მაგრამ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით აღნიშნული პროცესი უნდა ჩატარდეს მიმდებარე ნაგებობებზე მკაცრი მონიტორინგის პირობებში.

სამშენებლო სამუშაოთა წარმოების პროექტში ჩამოყალიბებული უნდა იქნას მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოების შესრულების ტექნოლოგიური პროცესი, თანმიმდევრობა და ეტაპები. პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას ღონისძიებები სამშენებლო სამუშაოების პროცესში უსაფრთხო პირობების და გარემოზე ზემოქმედების მინიმალიზაციის უზრუნველსაყოფად.

სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა მოხდეს, როგორც მშენებარე, ასევე მიმდებარე ნაგებობების მონიტორინგი. მშენებლობის პროცესში მიმდებარე ნაგებობებზე ბზარების ან სხვა რაიმე დაზიანებების წარმოქმნის შემთხვევაში აუცილებელია გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

ამრიგად, ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №24-ში (ს/კ 01.17.01.047.030) საპროექტო შენობის მშენებლობისათვის შემუშავებული მუშა პროექტი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და ტექნიკური რეგლამენტების სრული დაცვით. შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების პროცესი არავითარ გავლენას არ მოახდენს მიმდებარე შენობების და კომუნიკაციების (მახათას ქუჩა და მთავარანგელოზის ქუჩა) მდგრადობაზე.

დანართი №1 – გამოკვლევის ამსახველი ფოტოფიქსაცია – 9 ფურცლად;

დანართი №2 – ქვაბულის ფერდის კონსტრუქციის მდგრადობის ანგარიში – *26 ფურცლად.*

დასკვნა

ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №27/7, გურჯაანის ჩიხი/მახათას ქ. №5/5-ში (ს/კ 01.17.01.047.030) მდებარე საცხოვრებელი სახლის მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილის, საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის და საანგარიშო კომპიუტერული მოდელის შესწავლის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო შენობის მშენებლობის პროცესი არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე.

სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა მოხდეს, როგორც მშენებარე, ასევე მიმდებარე ნაგებობების მონიტორინგი. მშენებლობის პროცესში მიმდებარე ნაგებობებზე ბზარების ან სხვა რაიმე დაზიანებების წარმოქმნის შემთხვევაში აუცილებელია გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

(იხილეთ კვლევითი ნაწილი).

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:
ინსპექტორი: /ზ. გუბელიძე/

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:
ტექნიკური მენეჯერი: /მ. წიქარიშვილი/
პროფესორი

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:
ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი: /ა. ჭიპაშვილი/

დანართი №1

ფოტომასალა



სურათი 1



სურათი 2



სურათი 3



სურათი 4



სურათი 5



სურათი 6



სურათი 7



სურათი 8



სურათი 9



სურათი 10



სურათი 11



სურათი 12



სურათი 13



სურათი 14



სურათი 15



სურათი 16



სურათი 17



სურათი 18



სურათი 19



სურათი 20



სურათი 21



სურათი 22



სურათი 23



სურათი 24



სურათი 25



სურათი 26



სურათი 27



სურათი 28



სურათი 29



სურათი 30



სურათი 31



სურათი 321



სურათი 33



სურათი 34



სურათი 35



სურათი 36



სურათი 37



სურათი 38



სურათი 39



სურათი 40



სურათი 41



სურათი 42



სურათი 43



სურათი 44



სურათი 45



სურათი 46



სურათი 47



სურათი 48



სურათი 49



სურათი 50



სურათი 51



სურათი 52



სურათი 53



სურათი 54

დანართი №2

h et ng st uc u er ic ti n

ip t al

ate : : '-(ct- 4

stt ng

(ip fc ci re : ta ik)

at ia s a id ta da ds

(on re s uc re : Nil 5: 01 20 3
(rc p e s ea : mp fie n th d
(ee st icl re : N 99 -1· (I C3
I arl l f cte o be iri g c pa ity of ee cr ss ec or : 10 1 0
' mi er ru tu s N 99 -1· (I C5
I arl l f cte fc tir oe pr oe y 1 = 1.:)
I oc . f cte ol oa d at in nc nc stu e (on nt 100 = (50
(oe . c ef ct e id fc sl ai str ss r = 0.('

I es su a al si

' eri ca on ne io olc y cc rc ig) E N 19
/ cti e e rth or ss e alc la on Co or o
I as ve ea n p es ur ca cu tic : Ca uo Ke isi
/ na si: m hc : ep en en or ss es
I art qu ke an ys : : Mc or be Ol ibe
I oc lu of ub oi ea tic : ta da l
(on de re uc or of ie io ult o su sc re ct n r a br ce sl e ig
I es n op oa n : - ed cti n (a ion s (E , S 'R ar s l p ra ie rs

Pa tia fa to f s il ar m e (I)
F rm ar nt le g si ia or

| | | |

Verification methodology : Limit states (LSD)

Reduction coefficients		
Reduction. coeff of steel strength :	γ_s =	1.35 [–]
Reduction coefficient of pull out resistance (soil) :	γ_e =	1.35 [–]
Reduction coefficient of pull out resistance (grouting) :	γ_c =	1.35 [–]

Geometry of structure

Structure length = 5.70 m

Cross-section name : Pile curtain d = 0.40 m, a = 0.60 m
Material of pile : concrete
Computed coefficient of pressure reduction below the ditch = 1.00
Area of cross-section A = 2.09E-01 m^2/m
Moment of inertia I = 2.09E-03 m^4/m

Material of structure

Analysis of concrete structures carried out according to the standard SNiP 52-01-2003.

Concrete: B25
Compressive strength R_b = 14.50 MPa
Tensile strength R_{bt} = 1.05 MPa
Elasticity modulus E_b = 30000.00 MPa
Shear modulus G = 12500.00 MPa

Longitudinal reinforcement: A500
Tensile strength R_s = 435.00 MPa

Transverse reinforcement: A240
Tensile strength R_s = 215.00 MPa

Modulus of reaction

Modulus of subsoil reaction is computed by method Schmitt.

Basic soil parameters

No.	Name	Pattern	φ_{ef} [°]	c_{ef} [kPa]	γ [kN/m³]	γ_{su} [kN/m³]	δ [°]
1	თიხა		20.00	17.00	18.20	8.20	0.00

All soils are considered as cohesionless for at rest pressure analysis.

Parameters of soils to compute modulus of subsoil reaction (Schmitt)

No.	Name	Pattern	ν [–]	E_{oed} [MPa]	E_{def} [MPa]
1	თიხა		0.42	-	14.00

Soil parameters

თიხა
Unit weight : γ = 18.20 kN/m³
Stress-state : effective
Angle of internal friction : φ_{ef} = 20.00 °
Cohesion of soil : c_{ef} = 17.00 kPa

[GEO5 - Sheeting Check (64 bit) | version 5.2024.34.0 | hardware key 30912 / 1 | Capitely Group LLC | Copyright © 2024 Fine spol. s r.o. All Rights Reserved | www.finesoftware.eu]

Angle of friction struc.-soil : δ = 0.00 °
Soil : cohesionless
Deformation modulus : E_{def} = 14.00 MPa
Poisson's ratio : ν = 0.42
Saturated unit weight : γ_{sat} = 18.20 kN/m^3

Geological profile and assigned soils

No.	Thickness of layer t [m]	Depth z [m]	Assigned soil	Pattern
1	5.00	0.00 .. 5.00	თიხა	
2	-	5.00 .. ∞	თიხა	

Excavation

Soil in front of wall is excavated to a depth of 3.20 m.

Name : Excavation **Stage - analysis : 1 - 0**



Terrain profile

Terrain behind the structure is flat.

[GEO5 - Sheeting Check (64 bit) | version 5.2024.34.0 | hardware key 30912 / 1 | Capitely Group LLC | Copyright © 2024 Fine spol. s r.o. All Rights Reserved | www.finesoftware.eu]

Name : Terrain	Stage - analysis : 1 - 0



Water influence

Ground water table is located below the structure.

Global settings

Number of FEs to discretize wall = 100
Analysis of depending pressures : reduce according to analysis settings
Minimum pressure is considered as $\sigma_{a,min} = 0.20\sigma_z$

Settings of the stage of construction

Design situation : permanent

Analysis results

